



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 276

ქალაქი ქუთაისი 29 ივნისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ
2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა–ნაგებობების
გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი
სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა–ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულების მე-3 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა–ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. ტოროშელიძე გალაქტიონი
2. ლატარია ნიკოლოზი
3. გუგავა სამსონი
4. გაბადაძე გელა
5. უკლება გიორგი

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.